აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 7

3 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 40-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესი“ დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს (ლ. ჩავლეიშვილი) ამ განკარგულების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაცნობა.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულებით განსაზღვრული სადეპოზიტო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება პრესითა და მასობრივის ინფორმაციის სხვა საშვალებებით.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია

<u>დანართი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესი

1. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა, 5000 ლარი უნდა განათავსოს სახელმწიფო ხაზინაში უსკოს სადეპოზიტო ანგარიშზე შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 245 444 844;

მიმღები ბანკი – სს „საქართველოს ბანკი“;

ბანკის კოდი: BAGAGE22;

მიმღების ანგარიში: GE 39 BG 0000000343170200 GEL;

დამატებითი ინფორმაცია: მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში (ოლქის №) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის (გვარი, სახელი; პირადი №) რეგისტრაციაში გასატარებლად სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხა.

2. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 40-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენს

ინფორმაციას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საბანკო ანგარიშის შესახებ.

3. უსკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე, უსკოს საორგანიზაციო სამსახური ამზადებს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის იმ კანდიდატთა სიას, რომლებმაც უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მიიღეს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10%-ი მაინც და გადაუგზავნის უსკოს შესაბამის სამსახურს.

4. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის წევრობის იმ კანდიდატს, რომელმაც შესაბამის არჩევნებში გადალახა მონაწილეთა ხმების 10%-ი მაინც, სრულად უბრუნდება დეპოზიტზე განთავსებული თანხა წინამდებარე წესის მე-2 პუნქტის თანახმად წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

5. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, უსკოს შესაბამისი სამსახური წერილობით მიმართვასთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურს წარუდგენს საგადახდო მოთხოვნას.

6. იმ შემთხვევაში, თუ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10%-ი, დეპოზიტზე განთავსებული თანხა არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში.

7. უსკოს სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხის აჭარის ავტონომიური რესპუბლის ბიუჯეტში გადასარიცხად უსკოს შესაბამისი სამსახური, წერილობით მიმართვასთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარადგენს საგადახდო მოთხოვნას.